

Green Caucasus	სანქციები Sanction	კოდი/Code GC/DM/S-10.2
----------------	-----------------------	---------------------------

სანქციების კატალოგი

გრინ კაუკაზუსის სერტიფიცირების სისტემის, სტანდარტების ან ექსპორტიორი ქვეყნის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, გრინ კაუკაზუსმა განმცხადებლის მიმართ შეიძლება გამოიყენოს ქვემოთ მოცემული სანქციები.

1. სანქციის გამოყენების მიზეზი

საწარმოო ერთეულის, საწვობის, სათავსოების, გადამამუშავებელი საწარმოს, ფერმის, ფინანსური და საბუღალტრო დოკუმენტაცია, შესრულებული სამუშაოების ჩანაწერები და მომსახურე პერსონალი არ არის ხელმისაწვდომი ან მხოლოდ ნაწილობრივად ხელმისაწვდომია კავკასიის ინსპექტორისათვის.

დარღვეულია შემდეგი მოთხოვნა:

- გრინ კაუკაზუსის სტანდარტი, დანართი 3 “მინიმალური მოთხოვნები ინსპექციის მიმართ” და პრევენციული ქმედებები ინსპექტირების ან სერტიფიცირების სისტემაში;
- გრინ კაუკაზუსის დოკუმენტების სახელმძღვანელო – ხელშეკრულების ფორმა 3.4, პუნქტი 5.9

სანქცია:

- ბიონიშანდების მოშორება მზა პროდუქტის ყველა პარტიიდან, საწარმოო ხაზიდან/ციკლიდან;
- თუ ასეთი სახის დარღვევას სისტემატიური ხასიათი აქვს, გრინ კაუკაზუსი აუკრძალავს განმცხადებელს პროდუქციაზე ბიონიშანდების გამოყენებას გარკვეულ პერიოდით. აკრძალვის პირობებს განსაზღვრავს გრინ კაუკაზუსი. ექსპორტის შემთხვევაში ამ პირობებს განსაზღვრავს ექსპორტიორი ქვეყანა.

2. სანქციის გამოყენების მიზეზი

ბიოწარმოების არასაკმარისი დაშორება, გამოყოფა/იზოლირება არაბიო/ჩვეულებრივი საწარმოო ერთეულისაგან (წარმოებისაგან რომელიც არ აკმაყოფილებს გრინ კაუკაზუსის სტანდარტის მოთხოვნებს).

დარღვეულია შემდეგი მოთხოვნა:

- გრინ კაუკაზუსის სტანდარტი; მიკვლევადობის პროცედურა;
- გრინ კაუკაზუსის პროცედურების სახელმძღვანელო: თავი 11, პუნქტი 11.4 ა.

სანქცია:

- გაფრთხილება;
- დამატებითი ინსპექტირება და ნიმუშების ლაბორატორიული ანალიზი;
- ბიონიშანდების მოშორება მზა პროდუქტის ყველა პარტიიდან და საწარმოო ხაზიდან/ციკლიდან;
- თუ ასეთი სახის დარღვევას სისტემატიური ხასიათი აქვს, გრინ კაუკაზუსი აუკრძალავს განმცხადებელს პროდუქციაზე ბიონიშანდების გამოყენებას გარკვეულ პერიოდით. აკრძალვის პირობებს განსაზღვრავს გრინ კაუკაზუსი. ექსპორტის შემთხვევაში ამ პირობებს განსაზღვრავს ექსპორტიორი ქვეყანა.

3. სანქციის გამოყენების მიზეზი

შექმნა: ნ.დ. თარ: 13.11.06	განიხილა: ნ.დ. თარ: 24.07.15	დაამტკიცა: ზ.ნ თარ: 24.07.15	არა კონფიდენციალური	ვერსია: 3	გვ: 1-5- დან
----------------------------------	------------------------------------	------------------------------------	------------------------	--------------	-----------------

Green Caucasus	სანქციები Sanction	კოდი/Code GC/DM/S-10.2
----------------	-----------------------	---------------------------

გრინ კაუკაზუსის სტანდარტით აკრძალული საშუალებების გამოყენება და შენახვა.

დარღვეულია შემდეგი მოთხოვნა:

- გრინ კაუკაზუსის სტანდარტი: დანართი III, მინიმალური მოთხოვნები ინსპექტირებასთან მიმართებაში;

სანქცია:

- გაფრთხილება;
- დამატებითი ინსპექტირება და ნიმუშების ლაბორატორიული ანალიზი;
- ბიო ნიშანდების მოშორება მზა პროდუქტის ყველა პარტიდან და საწარმოო ხაზიდან/ციკლიდან;
- თუ ასეთი სახის დარღვევას სისტემატიური ხასიათი აქვს, გრინ კაუკაზუსი აუკრძალავს განმცხადებელს პროდუქციაზე ბიონიშანდების გამოყენებას გარკვეული პერიოდით. აკრძალვის პირობებს განსაზღვრავს გრინ კაუკაზუსი. ექსპორტის შემთხვევაში ამ პირობებს გასაზღვრავს ექსპორტიორი ქვეყანა.

4. სანქციის ბამოყენების მიზეზი

განმცხადებლის მიერ ისეთი არაბიო წარმომავლობის მქონე საშუალებების უნებართვო გამოყენება, რომლებიც აკრძალულია გრინ კაუკაზუსის სტანდარტით და რომელთა გამოყენებისათვის განმცხადებელს სჭირდება გრინ კაუკაზუსის ნებართვა (მაგ. არაბიო სათესლე და სანერგე მასალის ან სხვა საშუალებების გამოყენება).

დარღვეულია შემდეგი მოთხოვნა:

- გრინ კაუკაზუსის სტანდარტი: დანართი I, ბიოწარმოების პრინციპები - პუნქტი 17;
- გრინ კაუკაზუსის დოკუმენტების სახელმძღვანელო: ხელშეკრულება განმცხადებელთან ფორმა 3.4 პუნქტი 5.3;

სანქცია:

- ნაკლებად მძიმე შემთხვევებში: ჩანაწერების სისტემის გაუმჯობესება, შეთანხმება;
- გაფრთხილება;
- განმეორების შემთხვევაში: დამატებითი ინსპექტირება;
- ბიო ნიშანდების მოშორება მზა პროდუქტის ყველა პარტიდან და საწარმოო ხაზიდან/ციკლიდან;

5. სანქციის ბამოყენების მიზეზი

სტანდარტების მოთხოვნების დარღვევა მემცენარეობაში, მეცხოველეობაში, მეფუტკრეობაში, სოკოების წარმოებაში და ველურად მოზარდი მცენარეების შეგროვებისას.

დარღვეულია შემდეგი მოთხოვნა:

- გრინ კაუკაზუსის სტანდარტი: დანართი I, ბიოწარმოების პრინციპები;
- გრინ კაუკაზუსის დოკუმენტების სახელმძღვანელო: ხელშეკრულება განმცხადებელთან ფორმა 3.4 პუნქტი 5.3;

სანქცია:

- ნაკლებად რთულ შემთხვევებში გაფრთხილება;
- განმეორების შემთხვევაში: დამატებითი ინსპექტირება;
- ბიო ნიშანდების მოშორება მზა პროდუქტის ყველა პარტიდან და საწარმოო ხაზიდან/ციკლიდან;
- თუ ასეთი სახის დარღვევას სისტემატიური ხასიათი აქვს, გრინ კაუკაზუსი აუკრძალავს განმცხადებელს პროდუქციაზე ბიონიშანდების გამოყენებას გარკვეული

შექმნა: ნ.დ. თარ: 13.11.06	განიხილა: ნ.დ. თარ: 24.07.15	დაამტკიცა: ზ.ნ თარ: 24.07.15	არა კონფიდენციალური	ვერსია: 3	გვ: 2-5- დან
----------------------------------	------------------------------------	------------------------------------	------------------------	--------------	-----------------

Green Caucasus	სანქციები Sanction	კოდი/Code GC/DM/S-10.2
----------------	-----------------------	---------------------------

პერიოდით. აკრძალვის პირობებს განსაზღვრავს გრინ კაუკაზუსი. ექსპორტის შემთხვევაში ამ პირობებს განსაზღვრავს ექსპორტიორი ქვეყანა.

6. სანქციის ბამოყენების მიზეზი

გრინ კაუკაზუსის სტანდარტების მოთხოვნების დარღვევა ტრანსპორტირების, დაფასების და ნიშანდებისას.

დარღვეულია შემდეგი მოთხოვნა:

- გრინ კაუკაზუსის სტანდარტი: თავი 3 ნიშანდება; დანართი III, მინიმალური მოთხოვნები ინსპექტირებისას
- გრინ კაუკაზუსის დოკუმენტების სახელმძღვანელო: ხელშეკრულება განმცხადებელთან ფორმა 3.4 პუნქტი 5.3;

სანქცია:

- უმნიშვნელო შემთხვევებში: წერილობითი ინსტრუქციები;
- საშუალო სირთულის შემთხვევებში: გაფრთხილება;
- ბიონიშანდების მოშორება მზა პროდუქტის ყველა პარტიიდან და საწარმოო ხაზიდან/ციკლიდან;

7. სანქციის ბამოყენების მიზეზი

გადამამუშავებელი საწარმოს შემთხვევაში: გრინ კაუკაზუსის სტანდარტსა და პროცედურებში არსებული ნიშანდების და კონტროლის მინიმალური მოთხოვნების დარღვევა.

დარღვეულია შემდეგი მოთხოვნა:

- გრინ კაუკაზუსის სტანდარტი: დანართი III, მინიმალური მოთხოვნები ინსპექტირების დროს;
- გრინ კაუკაზუსის დოკუმენტების სახელმძღვანელო: ხელშეკრულება განმცხადებელთან ფორმა 3.4 პუნქტი 5.3;

სანქცია:

- ნაკლებად მნიშვნელოვანი შეცდომისას ნიშანდებაში: წერილობითი ინსტრუქციები;
- საშუალო სირთულის შემთხვევებში: გაფრთხილება, შეტყობინებისა და ინფორმირების სისტემის გაუმჯობესება;
- ბიონიშანდების მოშორება მზა პროდუქტის ყველა პარტიებიდან და საწარმოო ხაზიდან/ციკლიდან;
- თუ ასეთი სახის დარღვევას სისტემატიური ხასიათი აქვს, გრინ კაუკაზუსი აუკრძალავს განმცხადებელს პროდუქციაზე ბიონიშანდების გამოყენებას გარკვეული პერიოდით. აკრძალვის პირობებს განსაზღვრავს გრინ კაუკაზუსი. ექსპორტის შემთხვევაში ამ პირობებს განსაზღვრავს ექსპორტიორი ქვეყანა.

8. სანქციის ბამოყენების მიზეზი

დარღვევები ინფორმირებასთან დაკავშირებით (მაგ. საწარმოო ერთეულში მომხდარი ცვლილებების არ შეტყობინება).

დარღვეულია შემდეგი მოთხოვნა:

- გრინ კაუკაზუსის სტანდარტი: დანართი III, მინიმალური მოთხოვნები ინსპექტირების დროს;
- გრინ კაუკაზუსის პროცედურები – 3.9.1

შექმნა: ნ.დ. თარ: 13.11.06	განიხილა: ნ.დ. თარ: 24.07.15	დაამტკიცა: ზ.ნ თარ: 24.07.15	არა კონფიდენციალური	ვერსია: 3	გვ: 3-5- დან
----------------------------------	------------------------------------	------------------------------------	------------------------	--------------	-----------------

Green Caucasus	სანქციები Sanction	კოდი/Code GC/DM/S-10.2
----------------	-----------------------	---------------------------

- გრინ კაუკაზუსის დოკუმენტების სახელმძღვანელო: ხელშეკრულება განმცხადებელთან ფორმა 3.4 პუნქტი 5.8;

სანქცია:

- წერილობითი ინსტრუქციები;
- პასუხისმგებლობის გამკაცრება, "ნეგატიური ანგარიშები" სადაც მიეთითება მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებები;
- განმეორების შემთხვევაში: გაფრთხილება
- ასეთი სახის დარღვევის სისტემატიური განმეორებისას: ბიო ნიშანდების მოშორება მზა პროდუქტის ყველა პარტიიდან და საწარმოო ხაზიდან/ციკლიდან;

9. სანქციის ბამოყენების მიზეზი

დარღვევები დოკუმენტაციის წარმოებაში.

დარღვეულია შემდეგი მოთხოვნა:

- გრინ კაუკაზუსის სტანდარტი: დანართი III, მინიმალური მოთხოვნები ინსპექტირების დროს;

სანქცია:

- წერილობითი ინსტრუქციები;
- განმეორებისას: გაფრთხილება
- საშუალო სირთულის შემთხვევებში: უფრო მკაცრი სიტყვიერი და წერილობითი გაფრთხილება;
- ასეთი სახის დარღვევის სისტემატიური განმეორებისას ბიო ნიშანდების მოშორება მზა პროდუქტის ყველა პარტიიდან და საწარმოო ხაზიდან/ციკლიდან;

10. სანქციის ბამოყენების მიზეზი

- განმცხადებელმა გამოიყენა გრინ კაუკაზუსის ლოგო ისეთი პროდუქციის გასაყიდად, რომლის წარმოება-გადამუშავების მეთოდები არ შეესაბამება გრინ კაუკაზუსის სტანდარტის მოთხოვნებს.
- წარმოებაში სხვადასხვა სტანდარტის (GC, EC, USDA NOP, სხვა) გამოყენების შემთხვევაში, შექმნილი ნაკლოვანება სხვადასხვა სტანდარტით წარმოებული პროდუქციის იდენტიფიცირება-დიფერენცირებაში. მაგალითად, არა არის მითითებული თუ რომელი სტანდარტის გამოყენებით არის წარმოებული ესა თუ ის პროდუქცია.

დარღვეულია შემდეგი მოთხოვნა:

- გრინ კაუკაზუსის სტანდარტი: თავები სადაც აღწერილია მოთხოვნები იმპორტის, გადამუშავების, დაფასოების და გასაღებასთან მიმართებაში, თავი 3 ნიშანდება;
- გრინ კაუკაზუსის პროცედურები – 3.4.8 სერტიფიკატის და ლოგოს გამოყენების კონტროლი;
- გრინ კაუკაზუსის დოკუმენტების სახელმძღვანელო: ხელშეკრულება განმცხადებელთან ფორმა 3.4 პუნქტი 5.10;

სანქცია:

- ბიო ნიშანდების მოშორება მზა პროდუქტის ყველა პარტიიდან და საწარმოო ხაზიდან/ციკლიდან;

შექმნა: ნ.დ. თარ: 13.11.06	განიხილა: ნ.დ. თარ: 24.07.15	დაამტკიცა: ზ.ნ თარ: 24.07.15	არა კონფიდენციალური	ვერსია: 3	გვ: 4-5- დან
----------------------------------	------------------------------------	------------------------------------	------------------------	--------------	-----------------

Green Caucasus	სანქციები Sanction	კოდი/Code GC/DM/S-10.2
----------------	-----------------------	---------------------------

- თუ ასეთი სახის დარღვევას სისტემატიური ხასიათი აქვს, გრინ კაუკაზუსი აუკრძალავს განმცხადებელს პროდუქციაზე ბიონიშანდების გამოყენებას გარკვეულ პერიოდით. აკრძალვის პირობებს განსაზღვრავს გრინ კაუკაზუსი. ექსპორტის შემთხვევაში ამ პირობებს განსაზღვრავს ექსპორტიორი ქვეყანა. ექსპორტის შემთხვევაში ამ პირობებს საზღვრავს ექსპორტიორი ქვეყანა (EEC 2092/91).

განმცხადებლის წარმოებასა და მართვაში არსებული დარღვევებს განხილავს სერტიფიცირების გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელ პირს. ის აფასებს დარღვევების სერიოზულობას და იღებს გადაწყვეტილებას სანქციის შეფარდებაზე. ექსპორტის შემთხვევაში, ამას ასეთ გადაწყვეტილებას ექსპორტიორი ქვეყანა იღებს.

სერტიფიცირებაზე პასუხისმგებელი პირი გადაწყვეტილების შესახებ ატყობინებს განმცხადებელს და ინსპექტორს დაუყოვნებლივ ან ყოველკვარტალურად სიტუაციიდან გამომდინარე.

მითითებები:

- გრინ კაუკაზუსის სტანდარტი: არტიკლი 3 ნიშანდება. სხვა სტანდარტები (USDA NOP, სხვა)
- გრინ კაუკაზუსის პროცედურების სახელმძღვანელო – 3.4.6; 3.9.1; 11.4 ა)
- გრინ კაუკაზუსის დოკუმენტების სახელმძღვანელო – 3.4; 5.3; 5.8; 5.9, 5.10

შექმნა: ნ.დ. თარ: 13.11.06	განიხილა: ნ.დ. თარ: 24.07.15	დაამტკიცა: ზ.ნ თარ: 24.07.15	არა კონფიდენციალური	ვერსია: 3	გვ: 5-5-დან
----------------------------------	------------------------------------	------------------------------------	------------------------	--------------	-------------